№ 249. ნოემბრის 18, კვირა. 1866—1884 ნოემბრის 18, კვირა. № 249.

„დროების“ რედაქცია—სასახლის ქუჩაზე, დ. სარაჯოვის სახლში.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ქილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ. 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.
თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.
„Объявленія изъ Россіи, Царства Польскаго и за границы принимаются только въ цент. конторѣ объявл. Л. Метцль., Москва, Петровка, № 6.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

ამ ნომერში რვა გვერდია.

განსვენებულის გენერალ-ლეიტენანტის თ. დის დავით ალექსანდრეს-ძის ჭავჭავაძის გვამის გასვენება იქნება დღეს, ნოემბრის 18-ს, დილის 10 საათზე. წირვა და პანაშვიდი სიონის ეკლესიაში აღსრულდება; დასაფლავება იქნება ოთხშაბათს, ნოემბრის 21-ს, შუამთის მონასტერში. (2—2)

## ქართული თეატრი

დღეს, ნოემბრის 18-ს.

ქართული დრამატიული დასისაგან წარმოდგენილი იქნება:

I

რაც გინახავს, ვეღარ ნახავ!

კომედია 3-ს მოქმ. თხზ. ა. ცაგარლისა.

II

გიჟიასთან გამოხუმრება

ვოდევილი 1 მოქმედ., გადმოკეთებული თავ. რაფ. ერისთავისაგან.

ბილეთების ფასები დაკლებულია.

დასაწყისი 8 საათზე.

## შინაური ქრონიკა

— გუშინ, ნოემბრის 17-ს, ოლქის სასამართლომ განიხილა პავლე როსტომის-ძის ყიფიანის საქმე, რომელსაც ბრალდებოდა შეურაცხყოფა მეორე გიმნაზიის დირექტორის ბ. ლილოვისა, თანამდებობის აღსრულების დროს. სასამართლომ პ. რ. ყიფიანი იცნო დამნაშავედ, თუმცა შემამსუბუქებელნი გარემოებანიც უპოვა და გადაუწყვიტა ოთხი თვით ციხეში დამწყვდევა. დაწვრილებით შემდეგში ვუამბობთ მკითხველს ამ საქმის გარემოებას.

— ორშაბათს იქნება ჩვეულებრივი, მორიგი სხდომა ჩვენის ქალაქის ხმოსანთა. ამ სხდომაზედ გააგრძელებენ სჯას ხარჯთა-აღრიცხვის თაობაზედ ანუ სავარაუდო შემოსავალ-გასავალზე მომავალის 1885 წლისათვის და ამას გარდა, სხვათა-შორის, შემდეგი საგნები იქმნებიან განხილულნი:

ა) წინადადება ქალაქის თავისა, რომ განისაზღვროს, რა ჯამაგირი უნდა მიეცეს ცენტრალურ და ადგილობრივ დამფასებელ კომისიის წევრთ.

ბ) აზრი ხმ. ნიკოლაძისა ფართო ქუჩის გაყვანის თაობაზე აბანოებისკენ და ამ უკანასკნელთა მოწყობაზედ.

გ) ხმ. ალიხანოვის აზრი სამხედრო ისტორიულის მუზეუმის აშენებაზედ ალექსანდრეს ბაღში.

დ) ხმ. პოლუბანსკის წინადადება ფაეტონების ტაქსის დაკლებაზედ და სხვანი.

— გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“-ში დაბეჭდილია კორესპონდენცია. ქ. გო-[illegible] თხრობილია სოფ. ღვარების გლეხების გამაბედნიერებლის ბ. ს—ვის გმირობა და ქველობანი. ეს გლეხები მამა-პაპით აქა ყოფილან დასახლებულნი ხიზნობის წესით, მაგრამ ამ რამდენიმე წლის წინად ღვარების მამულების ერთი წილი ამ ბატონს ს—ვს უყიდნია ვაჭრობით და შენი ხიზნები სხვა-და-სხვა ხრიკების წყალობით უბრალო მოიჯარადრენი შექმნილან ამ ბატონისა. ისეთი პირობა შეუკრავს მათთან, რომ გლეხები ახლა სულ თავსა და ბედს იწყევლიან, მაგრამ ს—ვის ყმობიდამ კი ვერ ამოვლენო. ან მეათედი მძლიეთ ყოველ-გვარის მოსავლისა, ან წადით, სადაც გენებოთო, ეუბნება თურმე ს—ვი გლეხებს სასამართლოში, სადაც მათი საქმე გადასულა გასარჩევად.

საწყალმა გლეხებმა საიმწარით არ იციან თურმე, რა ქნან. ზამთარი კარს გვადგია და ეხლა სადღა უნდა წავიდეთო. ამას გარდა ჩვენ აქ დავბერდით, ჩვენი მამა-პაპის ძვლები აქა მარხია და ნუ თუ მთავრობა მაინც არ დაგვეხმარება და არ დაგვტოვებს შეხვეულ ალაგებზედო.

კორესპონდენტი ჩივის ბოლოს და ამბობს რომ ქართლის ბევრს სოფლებში საშინლად მძვინვარებს ყვავილი, ზოგიერთ ოჯახებში სულ გაწყვიტა ბავშვებიო.

— ყვავილმავე აიკლო, როგორც მკითხველებმა იციან, მთელი სიღნაღის მაზრა და თბილისის მაზრის ერთი ნაწილიც (გარე კახეთი, ანუ ივრის ხეობა.) დღეს, როგორც „კავკაზს“ შეუტყვია, თბილისის გუბერნიის ექიმის თანამდებობის აღმასრულებელი ექიმი ბახუტოვი წასულა სიღნაღს, ბ. გუბერნატორის განკარგულების თანხმად, ამ სენის წინააღმდეგ საბრძოლველად. „ბ. ბახუტოვი—ამბობს გაზეთი—ცნობილია, როგორც ენერგიული მოღვაწე სხვა-და-სხვა გადამდები და მოარული ავადმყოფობის მოსპობაში (სტავროპოლში ქუნთრუშის გავრცელების დროს, ახალ-ქალაქსა და ახალციხეში ყელ-ჭირვების დროსაც) და უნდა ვიმედოვნებდეთ, რომ ეს გადამდები სენიც კახეთში მალე იქნება მოსპობილი“.

## უხეირო დამცველს *).

(ბ. ი. კაპანაძის წერილის თაობაზე).

ჩემ შენიშვნას ბიორ. წერეთლის თაობაზე თურმე ძალიან არ გაუბრაზებია და განუცვიფრებია ბ. იას. კაპანაძე! როგორ თუ გავბედე და გამოვთქვი, რომ ბ. წერეთლისგან მოგონილი უებარი მალამო ორ შაურადაც არა ღირს მეთქი, როგორ თუ ვგმე და ვალვიარე, რომ რკინის-გზის მტოები სრულებითაც არ წარმოად-

*) როგორც ამ შენიშვნას, ისე საზოგადოდ რკინის-გზების შესახებ გამართულს პოლემიკას რედაქცია თავის მხრივ ცალკე წერილს უძღვნის. რედ.

## «დროების» ფელეტონი, ნოემ. 18-ს

### მოგონება

(ბაირონიდამ)

მიმონებს სასოწარკვეთილება,
აღარ მმსახურებს იმედოვნება!
ყველა გათავდა დაუბრუნებლად,
მაგრამ აჩრდილმა შენმა თვალ-წინა,
ვით ნაპერწკალმა რად გაირბინა
ჩემი მშვიდობის დასარღვევლად!

ყველა გათავდა დაუბრუნებლად!
ტანჯვანი დამრჩენ განუშორებლად:
„მშვიდობით!“ ვეტყვი სარწმუნოებას,
თვით ნეტარებას და სიყვარულსა,
მაგრამ არ მაღმიძს გაწამებულსა
„გამშორდი!“ ვუთხრა მე მოგონებას.

ალისუბნელი.

ღვინობისთვის 10-ს.

ხარკოვი.

### ღამე

(მოთხრობა)

(მაქს. ბელინსკისა.)

პაწაწკინა ოთახში სრულებით ბნელოდა. მხოლოდ ორი პატარა ფანჯარა იყურებოდა ამ წყვდიადიდამ, როგორც ორი ამღვრეული თვალი. ეტლების ხმაურობა თან და-თან წყნარდებოდა, ბოლოს კიდეც შესწყდა, და ქალაქს, აპრილის ღამის ცივის წყვდიადით გარემოცულს, ჩაეძინა.

მაგრამ მისი ძილი ჯერ-ჯერობით მოუსვენარი იყო: მის ღუმილს ზოგჯერ კიდევ არღვევდა გალოთებულის ხრინწიანი ხმა. ვილასაც სცემდენ. ხანდახან მოისმოდა ახალგაზდა ქალის წკრიალა ხმა, კიჟინით ჩაიქროლებდა დაგვიანებული მეეტლე. ბოლოს ეს ხმებიც შესწყდენ.

ალუშფოთებელმა სიჩუმემ მოიცვა მთელი ქალაქი.

— ოჰ, წყეულო სიცოცხლევ!— გამწარებულის ხმით დაიძახა ვიღამაც პაწაწკინა ოთახში.

ამავე დროს მოისმა კრავოტის ჭრიალი და მძიმე ფეხის ხმა. ვისიც ეს ხმა იყო, ის ადგა და მიდიოდა. ის თითქმის ეხებოდა თავით ჭერსა, თუმცა მაღალის ტანისა არ იყო. შავ, ძანურჩეველ აჩრდილად მოჩანდა ის ამ დროს ოთახის სქელ წყვდიადში; ცოტა ხნის შეჩერების შემდეგ, თითქოს რიღასიც გარდაწყვეტა და მოსაზრება სურდა, კიდევ ორი ნაბიჯი წასდგა წინ, მივიდა პატარა, ფანჯრებ შუა დადგმულს სტოლთან, დაჯდა და ამოიღო ჯიბიდამ რევოლვერი.

— დროა, დრო!... ბადადება აღარ იქნება! ყველაფერი გარდაწყვეტილი და მოსაზრებულია...

ის ლაპარაკობდა ხმა-მაღლად; მას არ ეშინოდა ხმა-მაღლა ლაპარაკისა. ხომ არავინ გაუგონებს, ხომ არავინ შეუშლის ხელს. მასპინძელს ღრმადა სძინავს. ახალგაზდა ქალი, რომელიც აქა სდგას, ორიოდ ცრემლის დაღვრის შემდეგ აფიცერთან წავიდა. დანარჩენ ოთახებში არავინ არის. დარჩა მხოლოდ ის მარტოდ-მარტო ამ საშინელს სიბნელეში, რომელიც ეჩვენება მას რაღაც ბრმა, სიკვდილივით შეუბრალებელ, ყოვლად ძლიერ და ზღვასავით თვალ გადუწვდენელ, უძირო ძალად, რომელიც გადასწოლია ქვეყანას, რომ დაახრჩოს თავის საზიზღარ მოხვევნით... მას სულს უხუთავს ეს სიჩუმე და აძრწუნებს ეს მარტოობა. მაგრამ ამასთან ისიც ახარებს, რომ არავინა ჰყავს ახლოს.

— ეხლა, ახალ-გაზდა კაცო, შეგიძლია შეუდგე შენს საქმეს!.. ქმარა, რაც იყოყმანე...

მან მოუთმენლად დაჰკრა ხელი რევოლვერის კონდახს.

— ეხლა...

მაგრამ აქ დასტოვა წინანდელი კილო და გაბრაზებულმა ხიხინით შეჰყვირა:

— გაათავე რაღა!!

ჩახმახი ტკრციალით შეიმართა. ცივმა ლულამ იპოვა საფეთქელი და მიეკრა ზედ.

ქალაქი მოჩანდა მეხუთე სართულის ფანჯრიდამ, როგორც შავი უფსკრული. აქა-იქ სინათლე კაშკაშებდა, და ამ კაშკაშში იხატებოდა ირონია სავსე ბოროტებითა.

გენენ იმ «ერთად-ერთ საშუალებას», რომელზედაც დამოკიდებულია ჩვენი ქვეყნის ბედნიერება. ამ მოსაზრებამ თურმე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა ბ. ძაპანაძეზე, «ისეთს დიდს ფიქრსა და განცვიფრებაში ჩააგდო», რომ სევდიანი გულით და დაღრეჯილი სახით უნატვრია: „ნეტავი სულაც არ წამეკითხაო"; წყალსაც წაუღია წერილის უსახელო ავტორი, მეხიც დასცემია იმის უმზგავს თავსა. შკაცრავად, ბ. ძაპანაძევ, რომ ასე ცუდად მოგედოთ ჩემი შენიშნვა, ასე საშინლად აგაღელვათ და აგაპილპილათ — გეტყობათ, ძალიან სუსტი და ნერვოზური აგებულებისა ბრძანებულხართ; თუ არა და როგორ უნდა აღეშფოთეთ ჩემს მშვიდობიანს «თუმცა უსაფუძვლო» მოსაზრებათ. რომ იცოდით თქვენი თავის ამბავი, ჯერ უნდა დამშვიდებულიყავით, მიგეღოთ ვანნა, დამაწყნარებელი წამალი, მერე რიგიანად წაგეკითხათ ჩემი შენიშნვა და ისე მოგეცათ პასუხი. ეს ჩემი დარიგება მით უფრო საჭიროა, რომ იმისი აუსრულებლობა ავნებს თქვენს სიმრთელეს, ბევრს მოაკლებს თქვენს ენერგიას, რომელიც თურმე ისე საჭირო ყოფილა ამ ქვეყნის გამაბედნიერებელი „ერთად-ერთი საშუალების" აღსრულებისათვის. მეორეს მხრით, კარგად გეცოდინებათ, რომ სიბრაზე, აპილპილება ძალიან დამაბრკოლებელი მასალაა საფუძვლიანის მოსაზრებისა- [illegible]. თქვენ ეს ჭეშმარიტება სრულებით დაგვიწყებიათ და იმიტომაც მისჩეჩიხართ ისეთს ლობე-ყორეს, რომ თითონ ეშმაკიც კისერს მოიტეხს. აბა, რა გონიერი კაცის საკადრისია ის საბუთები, რომელნიც თქვენ მოგყავთ ჩემი შენიშნვის დასარღვევლად: თქვენა ბრძანებთ: „სადაც რკინის-გზა გასულა, იქ სწავლის სურვილიც აღძრულა, სკოლებიც დამართულა"...

თქვენს მოსაზრებას რომ კაცმა მისდიოს, აი, რა უნდა იფიქროს: ქვეყანანი, მოკლებულნი რკინის-გზებსა, უსათუოდ მოკლებულნი უნდა იყვნენ სწავლასაც, სკოლასაც. შორს რომ არ მოვძებნოთ ამ აზრის წინაალმდეგი მაგალითნი, ავიღოთ თუნდა ჩვენი მხარე: ჩრდილოეთი კავკასია, რომელსაც ერთად-ერთი რკინის-გზა აქვს და რომლის ცხრა მეათედი სოფლები შორს არიან ამ გზაზე, მორთულია მშვენიერი მდიდრული სკოლებით; თითქმის ყოველს სოფელში და სტანიცაში გამართულია კარგად მოწყობილი სასწავლებელი. სომხეთს აქამდინაც თვილით არ უნახავს რკინის-გზა, მაგრამ ყოველ ეკლესიასთან არსებობსო მდიდარი სასწავლებელი, რომელთა რიცხვი ბევრით აჭარბებს თქვენგან ნაქებს ქვემო-იმერეთს. ჩვენს საქართველოშიაც შიდა და გარე კახეთი ჯერაც მოკლებულნი არიან თქვენს «ერთად-ერთს საშუალებას», მაგრამ არც ისინი ჩამოუვარდებიან სამეგრელოს სწავლა განათლებაში: ხაში, პატარძეული, საგარეჯო, გიორგი-წმინდა, კაკაბეთი, ალვანი, შილდა, ყვარელი, ველის-ციხე და ბევრი სხვა დაბა და სოფელი უკვე ასწავლიან სკოლებში თავიანთ შვილებს. მეორეს მხრით, რატომ თუნდ ერთი სასწავლებელი არ გაიხსნა ტფილისსა და ბაქოს შუა ხუთას ვერსის სიგძეზე, იქ ხომ აი მეორე წელიწადია, რაც ცეცხლით მატარებელი დადის. მაშასადამე რკინის გზა აქ არა შუაშია. და როგორ შესაძლებელია იმისი სწავლა-განათლების მიზეზად დასახელება; როცა მათ შორის არავითარი დამოკიდებულობა არ არსებობს. თქვენ რომ, ბ. ძაპანაძევ, ცოტა მეტად დაჰკვირვებულიყავით ცხოვრებას, მეტი გესწავლათ და გეფიქრათ, მაშინ ასე გამოგეხატებოდათ ამ ორი საგნის ურთიერთობა: როგორც რკინის-გზები კერძოდ და თანამედროვე მრეწველობა საერთოდ, ისე სწავლა-განათლება წარმოადგენენ მსოფლიო გონივრული განვითარების შედეგს, მეცნიერობის აღორძინების ნიშანს; იმათი გაძლიერება, გავრცელება ერთობ დამოკიდებულია მეცნიერების განვითარებაზე — უამისოდ ვერც ერთი და ვერც მეორე ფეხს ვერ გადასდგამენ.

თუმცა სწავლა განათლება და აწინდელი ტეხნიკა ერთი დედის მუცლიდგან არიან ნაშობნი, მაგრამ განსხვავება მათ შორის ჯერ ჯეროვნით დიდია: პირველი ყველგან და ყოველთვის აუცილებელი საჭიროება და პირობაა ადამიანური ცხოვრებისათვის, ის სარგებლობის მეტს არას აძლევს კაცს; ტეხნიკა საერთოდ და რკინის გზები კერძოდ აქამდინ ამდიდრებენ და ასარგებლებენ მხოლოდ ცხოვრებაში გაწვრთნილს და გალესილს ბატონებს.

ამიტომაც მე დარწმუნებული ვარ, რომ ბ. ძაპანაძე დიდად შემცდარია, თუ ფიქრობს, ვითომ «ზოგიერთა ზესთაფონის გაიძვერა მედუქნეები" დიდის უსიამოვნებით უცქერიან იმისა და წერეთლის საქმეს. გაგიბედავთ, ბ. ძაპანაძევ, და გეტყვით, რო ყოველს მედუქნეს, რაც კი შეეხება პირად ინტერესს, დაშორებით მეტი ესმის ბევრს ლიტერატორზე და კორესპონდენტზე. და რო რკინის გზა დიდად სასარგებლოა ამ გვარ პირთათვის, ამის აშკარად დანახვისათვის საჭიროა მხოლოდ ერთი: გადაავლოს კაცმა თვალი იმ დუქნებს, რომელნიც მდებარებენ რკინის გზის ახლოს; მაგალითებრ, ქვემო იმერეთში, სადაც უმთავრესი სავაჭრო საგანი სიმინდია, ყველა დუქანს ცალკე განყოფილება აქვს, რომელიც წელიწადში არა ერთხელ და ორჯერ იმსება და იცლება ამ მარცვლით. ეს იმას მოასწავებს, რომ მედუქნეები მთლად ყიდულობენ ახლომახლო სოფლებში სიმინდს და სარგებლობით ასაღებენ იმას უცხოეთის აგენტებთან.

ამავე მოვლენას ვხედავთ ზემოქართლში, სადაც დაიარებიან სხვა-დასხვა წვრილმანი ჩარჩები აგენტები და ვაჭრული მანქანებით ტყავს აძრობენ გლეხობას.

თუ ეს ასეა, მაშ რისთვის მოუნდა ბ. ძაპანაძეს ზესთაფონის მედუქნეების ჩათრევა თავის საუცხოო საუბარში? აქ მკითხველო განზრახვა სხვა იყო: ბ. ძაპანაძემ მედუქნეები იმიტომ გამოითრია საბაასო ასპარეზზე, რომ უფრო მკაცრად დაამდაბლოს ჩვენი მოსაზრება; უფრო ადვილად ჩააჩუმოს მოწინააღმდეგენი: დაინახეთ, ზოგიერთა ჩვენი მამულიშვილნი როგორ მხარს უმშვენებენ მედუქნეებსაო: ტყუილ უბრალოდ არ იქნევს საწყალი ძაპანაძე თავის ფარხმალს, — ჩვენ სრულებითაც არ შეგვეხება იმისი ვითომ გესლიანი შედარება.

ახლა ორიოდ სიტყვა იმის თაობაზე, თუ რა სარგებლობას მოუტანს გლეხობას მომავალი რკინის გზის შტო: ჩვენ პირველს წერილში მოვიხსენიეთ, რომ აღსრულდება თუ არა ეს საქმე, მაშინვე მოიშლება ურმობა ქვა-გუნდის ზიდვაში, და ამითი გლეხობას ბევრი მოაკლდება, მეტადრე იმისთანა მოუსავლელ წელიწადს, როგორიც წლევანდელია. ბ. ძაპანაძე კადნიერად აღიარებს რომ «წლევანდელისთანა მოსავალი, გარდა ლვინისა, არც კი ახსოვს თავის დღეში ქუთაისის გუბერნიას...» აბა აქ ბაასი არც შესაძლებელია და არც საჭირო, მხოლოდ ერთს კი ვიტყვი რომ მთელი ქვემო-იმერეთი და გურია ერთხმად უჩივიანო მოუსავლელობას; ბ. ძაპანაძე კი წინაალმდეგს ამბობს; მოიარეთ ეს მხარენი, გამოჰკითხეთ

---

ოჰ, რა რიგად სძულდა მას ეს ქალაქი! ამ ვეშაპს, ამ გაუმაძღარ, სისხლის მსმელს ას-პირიან დევს, მან უმსხვერპლა ყველა თვისი პატიოსნური ახალ-გაზდობის კვეთებანი. მაგრამ განა მარტო მან? ბევრი სხვებიც იმსხვერპლა, გულ-გრილად დასცქეროდა მათს ტანჯვას, მათს გაცრუებულს იმედებს, მათს მოშხამულს სიცოცხლეს. ვეშაპი კი ამას არ ჯერდებოდა, — ისევ შეუბრალებლად და ცივად იყო, ისევ დაღო გასისხლიანებული პირი და განუწყვეტლივ თხოულობდა ახალ-ახალ მსხვერპლს...

მან დაიკვნესა.

— მოკვდი!!.

მაგრამ იმ წამს, როცა შემართული ჩახმახი უნდა დაცემულიყო, მასში მსწრაფლ აინთო სიცოცხლის უძლეველი, დაუშრეტელი წყურვილი, რომელმაც აღავსო მისი გული რაღაც ტკბილის კაეშნით და დაუხატა ტვინში ცხოველი სურათები; მაშინ თვალ წინ გაურბინა მას მოჩვენებათა აჰრელებულმა წკვრივმა, რომელთაც ვედრებით მიეპყრათ მისკენ ათრთოლებული ხელები.

მან ჩამოჰკიდა თავი და დაღონებულმა გაუშვა ხელიდამ რევოლვერი.

მარცხნით, იმ ალაგს, სადაც უფსკრულებრ შავი ჰორიზონტი და ამ ფერისავე ცის კამარა თითქმის არ ყოფდენ ერთმანერთს და შეერთებულიყვნენ, ეხლა გამოჩნდა მკრთალი ნათელის ზოლი.

ახალ-გაზდა კაცი სტიროდა სახეზე ხელებ-მიფარებული, და თბილი ცრემლები ასველებდენ თითებს, მაშინ როდესაც მხრები ძალზედ უთრთოდენ გულ-ამოსკვნით ტირილისაგან.

ნათელი ზოლი თან-და-თან ფართოვდებოდა.

— არ შემიძლია, არ შემიძლია!!

მოგონებანი ფუსფუსებდენ, ირეოდენ მის ტვინში... ხან ნათელი მზის სხივებით გაბრწყინებულნი; ხან ბნელნი და გამოურკვეველნი სურათნი ერთმანეთს სცვლიდენ... ნისლივით მსუბუქნი მოჩვენებანი ხან გამოსცურდებოდენ მის თვალ-წინ წყვდიადიდამ, და ხან ისევ დაინთქებოდენ და დადნებოდენ შიგ, ისე როგორც დნება ხოლმე ცვილის მაქმანი მდუღარე კუპრში ჩაშვებული... და ამ წარმოდგენის გრიგალში, არევ-დარევაში მას ესმოდა ხან ნაზი, საყვარელი და ხან მკაცრი, მბრძანებლობითი ხმები...

ნათელი ზოლი თან-და-თან ფართოვდებოდა. ღამის წყვდიადი ეხლა ლურჯად მოსჩანდა.

— საშა, მომიტევე! — ჩურჩულობდა ის. წამებულო! შენ ხომ ბოლომდის ატარე შენი უღელი!.. გაუძელ!.. არ დაქანცულხარ, როგორც მე!.. შემინდე, მაპატიე ეს ჩემი სულ-მოკლეობა!..

მან თავი მაღლა აიღო. ძელავ გაურბინა მას თვალ-წინ სხვა-და-სხვა მოგონებათა გროვამ. ის ხარბად აცქერდებოდა მათ და სცდილობდა დიდხანს შეჩერებულიყო მასზედ, რაც ამართლებდა მისს ჯერ-ჯეროვნით ძაბუნს გარდაწყვეტილებას, — გარდაწყვეტილებას, რომ უნდა იცოცხლოს.

— მაგრამ... სულ-მოკლეობაა კი ეს?!

პასუხის ნაცვლად მან გარდაავლო გონებითი თვალები საძულველ ქალაქს და მის გარემო ადგილებს.

გადაჭიმულა თვალ-უწვდენელი, დაულეველი, სწორი მინდორი. მხოლოდ აქა-იქ მოსჩანან ზედ პატარა სერები, თითქოს დასივებული ძარღვები არიან ბუმბერაზის სხეულზე. მდინარენი ბრწყინავენ და მიიკლაკნებიან გველივით. შორს, შორს შიგადა-მიგ მოსჩანან ამწვანებულნი ტყენი და ველნი... აი სოფლებიც, რომელთ შორის ბადესავით გაქსაქსილან სასოფლო გზები. რკინის-გზები და ქალაქები, სამხედრო ბანაკებივით გაფანტულან ამ დაულეველს მინდორზედ და დასწოლიან მას თავიანთი სიმძიმით. ამასაც მოუხრია თავი, დაჰმონებია მათს დამჩაგვრელს ძალას და მზადაა გადაიქცეს ტურფა წალკოტად...

მაგრამ ის ისევ უდაბურად, საწყლად გამოიმზირება. ტყეები გამეჩხრებულან, პური თავ-თავს ილებს, მაგრამ ის სოფელს არ ერგება. ჰაერში ტრიალებს ცეცხლის კომლი. ქალაქები სამარესავით მიყრუებულან. მატარებლები წურბლებსავით მიცოცვენ რელსებზე, გააქვთ სამშლვარ გარეთ ამ დიდი მინდვრის ნამყოფი და გულ-

და დარწმუნდებით, რომ შეცდომილხართ. იმასვე დიდ ბედნიერებად მიაჩნია ზემოხსენებული ურმობის მოშლა; თურმე საშინლად მავნებელი ყოფილა გლეხობისათვის ქვა-გუნდის ზიდვა; ურმები ენტვრევათო, ხარები უწყდებათო, ბძანებს ბ. ქაპანაძე. მე თითონ რამდენსამე გლეხს ვიცნობო, რომელთაც ცხრა-თორმეტი მანეთი [illegible]ირა აიღესო და ოთხი ხუთი თუმნის [illegible]ონელი გაუწყდათო. ამიტომაც [illegible] მალე მოიშლება ურმობა, ისა [illegible]ბიანო. საკვირველი დამამტკიცებელი საბუთები არ მოჰყავს ბ. ქაპანაძეს; რას ნიშნავს ამისთანა საქმეში თვითეული მაგალითი! ომიანობის დროს ბევრს მეურმეს, მეფურგუნეს ხარიც დაუვარდათ, ცხენებიც დაუწყდათ, ურმები და ფურგუნებიც დაუტყდათ, მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს ქირით სიარული სავნებელი იყო მუშა ხალხისთვის. აგრეთვე ყოველ წელიწადს ზღვაში ბევრი გემი და ხომალდი იღუპება, მაგრამ ვინ იქნება იმისთანა ჭკუის მტერი, რომ დაიჟინოს დამტკიცება ზღვით საქონლის გადატან-გადმოტანა საზარალოაო. ასე უნდა იყოს ამ საქმეშიაც, ჩვენ არა გვაქვს ხელში იმდენი ფაქტიური მასალა, რომ შეუცილებლივ დავუმტკიცოთ სარგებლობა ურმობისა ქვა-გუნდის ზიდვაში, მაგრამ თვითონ მზიდავები კი სრულებითაც არ უჩივიან. სწორე გითხრათ, საკვირველიც იქნებოდა ამ გვარი საჩივარი. ბატონყმობა ხომ ბევრია ხანი, გადავარდა, [illegible]ობას უფლება აქვს მოიქცეს ისე, როგორც იმისი სარგებლობა მოითხოვს, ამ საქმეში ძალას ვერავინ დაატანს—ტყუილ უბრალოდ ჩახოცოს თავისი საქონელი. ბ. ქაპანაძის სიტყვებიდგან კი ისე გამოდის, რო თითქო სოფლელი თვისი თავის მტერი იყოს. ხუთი თუმნისას ზარალობს, რომ ერთი თუმანი აიღოს; თუ მართლა ეს ესეა, რატომ თავის თავად არ იშლება ამ საქმეში ურმობა, რადა ვჭედავთ ყოველ დღე არა ერთსა და ასს ურემსა, ქვა გუნდით გატენილსა.

როგორც ხედავთ, ბატონებო, აქ საქმე საქმეზე ვერ მოდის; ბ. ქაპანაძეს რომ დაეჯეროს, გამოდის, რომ იმისი თანა-მემამულენი სულ თავთხელები ყოფილან; მაგრამ ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია. უფრო მართალი უნდა იყოს ის მოსაზრება რომ ბ. ქაპანაძე თავის აზრის დასამტკიცებლად ფაქტების გამოგონებასაც არ მოერიდა.

წერილის ავტორს არა თუ მარტო დედა აზრში ეტყობა შეცდომილება, უაზრობა, არამედ ყოველს წვრილმან მაგალითებშიაც იგივე ნაკლი სჩანს; მაგალითად მოვიყვან მხოლოდ ერთს ნაწყვეტს: „ისა სჯობიან, რომ დღეში სამი-ოთხი აბაზი აიღოს (გლეხმა) გზის გადაწმენდაში, როცა ზვავი ჩამოწვება ლიანდაგზე — თუ შავი-ქვის მტვრით ფილტვები დაიზიანოსო“. ვინ მოგახსენათ ბატონო, რომ ზვავის გადაწმენდა უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე შავი-ქვის ზიდვა. სწორედ, არ გინახავთ, რა არის ზვავი, რა საშინელი ავდარი, სიცივე მოსდევს მას, რამდენი ხალხი ხდება ამ საქმეში ავად ქარებით, ფილტვის ანთებით, თორემ ხომ მაგას არა ბძანებდით და მერე თუ ისე ზრუნავთ, რომ ხალხს ფილტვი არ დაუზიანდეს, რადა ცდილობთ რკინის გზის გაყვანას მაღნებამდინ. გათავდება თუ არა ეს საქმე, ხომ მაშინვე გაჩაღდება ქვა-გუნდის გამოჭრა; და მოითხოვს დიდ ძალს მუშაობას მიწაში—აბა მაშინ დაზიანდება ფილტვები!

სწორე გითხრა, მკითხველო მე სულაც არ მოველოდი პასუხს ბ. ქაპანაძისაგან, ჩვენ გვეგონა, რომ თითონ საქმის მოთაურები გაირჯებოდენ და აუხსნიდენ საზოგადოებას თავიანთი „ერთად-ერთი საშუალების“ მნიშვნელობას. ვიცი, რომ იმათ ეხლა ჩვენთვის არა სცალიანთ. მაგრამ ის არა სჯობდა, რომ სულ ხმა არ ამოღებულიყო ამ საქმეზე, ვიდრე იმისთანა მოსარჩლე გამოსტყრომოდა იმას, როგორიც, ბ. ქაპანაძეა.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

ნოემბრის 16.

პარიჟი. დეპუტატთა პალატამ კენჭი უყარა პირველად 16 და შემდეგ 43 მილ. ფრანკს, რომელიც თონკინის ექსპედიციისთვის უნდა გადიდვას.

## განცხადებანი

ქ. გორში.

დავიწყე დღეიდგან საქმის წარმოება. ყველა მსურველთ გავუყიდი სწრაფად მაზანდაზედ ყოველს მათს მიწის ნაწარმოებს, პირუტყვს, საქონელს და მატყლს. ვუყიდი ყველა ნაირს სავაჭროს გამოგზავნილის სიებით, აგრეთვე გამოვუწერ როგორც რუსეთიდამ, ისრე სამზღვარ გარეთიდამ ყველანაირ სავაჭროს, მანეთში $20_0/^0$ წინ მაღებით ბეთ გასაგზავნად ფაბრიკის პატრონებთან, დანარჩენს ფულს მივიღებ საქონლის ჩაბარების დროს. ვიღებთ იჯარით სახლების სამხატვროს (სამალიარო) საქმეს და შპალერების გაკვრას გორის მაზრაში ყველგან, ამავე ნაირად სადაც რკინის გზაზედ მატარებელი ჩაუვლის ერთ ვერსამდინ ბაქოდან ფოთამდე და ბათუმამდე.

იანვრის პირველს 1885 წელს დავიწყებ გასყიდვას პარტიობით და წვრილადაც ზეთით გალესილ კრასკებს, კისტებს, ყველა ნაირ ლაკს ოხარშულ ზეთს და მშრალი კრასკებისას. ფასები წერილებთაც შეიძლება ვაცნობო მუშტარს.

კამისიას ავიღებ სავაჭროებისთვის 50 მანეთამდე, მანეთზედ 3 კაპ. 100 მანეთამდე მანეთზედ 2 კაპ. 500 მანეთამდინ—თითო კაპ. და ზემოდ ნაკლებს მორიგებისამებრ. მივიღებ და გავგზავნი ყოველგან საქონლებს ხარჯ გარდა ფუთს ერთის კაპეიკის. კამისიით ფულიან პაკეტებს, წიგნებს ტელეგრამას, განცხადებას მივიღებ და გავგზავნი კუთვნილებისადმი უკამისიოდ; ჰირნახულებისთვის და სამალიარო წამლებისთვის იქნება ბინა. თ. ბეგთაბეგოვების შენობაში, ფრანგების ეკლესიის ახლო და სამწერლო სახლი თ. ნიკოლოზ დიასამიძის შენობაში დიდ სახემწიფო ქუჩაზედ.

(12—1) ალბლო თუთაევი.

---

ძიძა

ეძებს ძიძის ადგილს.

ადრესი: ნემეცების სასაფლაოსთან, ბეო ასლამაზოვის სახლი. (3—1)

---

ნოემბრის 18-დამ მიიღება ხელის-მოწერა ყოველ დღიურს გაზეთზე

### „ТБИЛИСИ“ — „თბილისის განცხადებანი“

1885 წ.

ფასი გაზეთისა: ქალაქის ხელის მომწერთათვის, შინ მიტანით, ერთის წლით 3 მან., ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის გაგზავნით 4 მან.; ცალკე №-ი 3 კაპ.

ვინც ეხლავ მოაწერს ხელს ფას დაუმატებლივ გაეგზავნება გაზეთი 1885 წლის იანვრის 1-ლიდამაც.

კანტორა რედაქციისა იმყოფება ბარიატინსკის ქუჩაზე, როტინოვის სახლებში (ადრე ბელოისა).

რედაქტორი-გამომცემელი

(3—2) ი. ბ. პოპოვი.

---

გრილად ჩაუვლიან გვერდს იმ ადგილებს, სადა მზესა და სეტყვას ერთად შეუკრავთ პირი, რომ ერთი პურის მარცვალიც არ მოვიდეს.

მე სამშობლოა...

მას კი უყვარს ის... ძნელია მისი მოშორება, ძნელია აარიდო თვალი ამ გულის დამწყვლელს სურათს!..

მას ჰგონია, რომ ის ახლოა, რომ ხალხსაც ხედავს. უზარ-მაზარ ცხოველივით გაუჭედია მას თვალ-უწვდენელი მოედანი და თვისი სუნთქვის ხმაურობით ავსებს მრთელს ჰაერს. მარტო ერთი შეხედულება ამ სანახევროდ ველურის, უმეცარის, ვაება ქმნილებისა, რომელიც ნიადაგ ფიქრობს დღიურს ლუკმაზე, კვლავ უჩალებს მას მკერდში გამქრალ ცეცხლს...

ის ადგა და გაიარა ოთახში.

შემდეგ მივიდა სტოლთან, აანთო [illegible]ანთლის ნამწვი და დაჯდა ძალზედ [illegible]ლვებული.

— მივწერ შინაურებს...

[illegible]ან დაიწყო წერა.

[illegible] ჯვნივ ცა შელებილიყო მუქი [illegible]დით. მარცხნივ ფანჯრის ჩარ[illegible]ჩანდენ რაჟრაჟის პირველი სხივები, რომელნიც მარგალიტის არშიასავით გაჰკროდენ ჰორიზონტს, ზევით კი თან-და-თან კრთებოდენ და შეუმჩნევლად უერთდებოდენ ზღვად ცის ფერსა. მრთელს არე-მარეს შემოხვევოდა მოლურჯო ნისლი, რომელშიაც ძლივს გაარჩევდა კაცი სახლების მოხაზულობას. სამთელი სუსტად ანათებდა ოთახში. ქაღალდზე სხვათა შორის ეწერა:

— «მივხვდი ბოლოს, რომ ასე უნდა მოვქცეულვიყავ... ისევ თქვენი ვარ!»

მან შეჰკეცა წერილი და რევოლვერთან ერთად ჩაიდო ჯიბეში.

— აი, ამოვა თუ არა მზე...

რაღაც უცნაური გამომეტყველება,—არც თუ ბედნიერებისა, არც თუ სასტიკი მოვალეობის მორჩილებისა დაეტყო მის შავგრემან, დაღონებულ პირის-სახეს, წვრილის ლამაზის ნაკვთებით, განიერის, თეთრის, გაოფლებულის შუბლით, რომელსაც უმშვენებდენ შავი ხუჭუჭი თმები.

მან ისევ დაიწყო მოუთმენლად ოთახში სიარული. კარგა ხანს დადიოდა.

თითქმის სრულებით გათენდა. ლურჯი ნისლი ეხლა თეთრად მოსჩანდა, ჰორიზონტის ხაზი უფრო გამორკვეულიყო. მარგალიტის არშია გაფართოვდა; მას ახლა ჩალის ფერი ჰქონდა, ფანჯრის შუშებს მკრთალი იისფერი მისცემოდათ. სანთელი ჩაიწვა და კომლის სუნი დააყენა.

— დიალ, დიალ, საბრალო საშა!.. წამებულო!.. აღელვებით ამბობდა ახალგაზრდა კაცი, — შენ იქ მოიკალ თავი, აქ ხომ არა... იქ—სხვა საქმეა... იქ — ხომ კუბოა! აქ კი — აქ ვისა აქვს უფლება?.. ხომ არავის ეკუთვნის სიცოცხლე... ჯერ-ჯერობით არავის! მხოლოდ ეგოისტებს, მხოლოდ ლაჩრებს შეუძლიანთ თავის მოკვლა...

მან ისე მაგრად დამუჭა ხელები, რომ ძვლებმა ტკაცუნი გაადინეს.

— მინდა ვიცოცხლო, ვიცოცხლო!.. წარმოსთქვა მან გატაცებულის ჩურჩულით და მივიდა სარკმელთან.

— ო-ო, ტყუილად კი არ ვიცხოვრებ ქვეყანაზე!! ტირილმა მოუსწრო ყელში, ახრჩობდა, მას გალიმება უნდოდა,—მაგრამ უეცრად ატირდა, ატირდა ხმა-მაღლა, როგორც ბავშვი...

სიცოცხლემ დასძლია. ამ ბრძოლით დაქანცული ის დასუსტდა და ბარბაცით დაეშვა სკამზედ, — თუმცა ზნეობრივ საღად იყო, სული მხნედ ჰქონდა...

ის ჰგრძნობდა, რომ სისხლი თან-და-თან უთბებოდა, რომ მისი გული თანაგრძნობით სძგერდა ათასს სხვა გულთან ერთად, რომ მისი ტვინის ძაფები გადაწნულან ყველას ძარღვებთან, გრძნობდა, რომ ის შეადგენს ატომს, მცირედს ნაწილს საზოგადოებრივის სხეულისას, იმ დაჩაგრულის, უმეცარის ცხოველისა, რომელიც წელან საშიშარის შეხედულებით ეზმანებოდა მას; ეხლა კი თავ-დავიწყებამდის უყვარდა ის და მისი წყლულები ათრთოლებდა, აშფოთებდა მთელს მისს არსებას...

მზე კი ჯერ-ჯერობით არა ჩანდა...

დიმ. გრემელი.

გიჟი.

## თბილისის თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან.

მმართველობა თბილისის თავად-აზნაურობის ბანკისა, წესდების მე-15 § ძალით 17 თებერვლის 1881 წ. ამით აცხადებს, რომ დეკემბრის 14-ს ამ 1884 წ. შუადღის 12 საათზედ, თბილისში, ბანკის სადგომში, სოლოლაკის ქუჩაზედ, თ. ბრუზინსკის სახლებში № 13, გაისყიდება უძრავი ქონება ვაჭრობის განუმეორებლად («უპერეტორჟკით») ქვემოდ მოხსენებულ პირთა, რადგანაც თავის დროზე არ შემოუტანიათ ხვედრი ფული, რაც დაწესებულია ბანკის წესდების 13, 14, 15, 17, 18 და 19 პარაგრაფებით.

კაშანაძე, ანდრია ივანეს-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ყოველივე მოწყობილობით და 60 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. მე-3 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში № 271 თავნი ვალი 2597 მან. 21 კაპ. დარჩენილი 162 მან. 61 კაპ. სულ 2759 მან. 85 კ.

ოსიპოვი, ლალო ძონიას-ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სარდაფით და 68 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში; მე-5 ნაწილში თავნი ვალი 3246 მან. 48 კ. დარჩენილი 298 მან. 34 კაპ. სულ ერთიანად 3544 მან. 82 კაპ.

გაბაშვილი, ალექსანდრე ზაქარიას-ძე. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი, სარდაფი, ფლიგელით და 160 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, 1 ნაწილში, მოსკოვის ქუჩაზე. თავნი ვალი 6308 მან. 23 კაპ. დარჩენილი 426 მ. 82 კ. სულ ერთიანად 6778 მან. 5 კაპ.

ოქროევისა, ეკატერინე არტემას-ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი 76 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით. ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში № 299 თავნი ვალი 4869 მან. 75 კაპ. დარჩენილი 556 მან. 12 კაპ. სულ ერთიანად 5425 მან. 87 კაპ.

ტერ-მიკირტჩიანი, მირტიროს ნიკიტის-ძე: სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით და 634$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-12 ნიკოლოზის ქუჩაზე თავნი ვალი 66553 მან. 14 კაპ. დარჩენილია 3923 მან. 40 კ. სულ ერთიანად 70476 მან. 54 კ.

ერისთავისა, ივლიტა დიმიტრის-ასული. ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი და ბაღი 500 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. გორში თავნი ვალი 8244 მან. 4 კ. დარჩენილი 552 მან. 4 კაპ. სულ ერთიანად 8796 მან. 8 კ.

სულხანოვისა, მარიამ ივანეს-ასული: ა) ერთ-სართულიანი ქვითკირის დუქანი ბალახონით, ბ) ორი თითო სართულიანი ქვითკირის დუქანი 276 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში: ა) მე-7 ნაწილში, 1 განყოფილებაში და ბ) მე-14 ნაწილში, მე-2 განყოფილებაში, ჩუღურეთში. თავნი ვალი 23,238 მ. 83 კ., დარჩენილი 1825 მან. 42 კ. სულ ერთიანად 25,064 მ. 25 კ.

მირიმანოვი, დავით იაკობის-ძე: სამ სართულიანი ქვითკირის სახლი ორ-სართულიანი ფლიგელით და 111$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით ქ. თბილისში, მე-2 განყოფილებაში, მე-2 ნაწილში ელისაბედის ქუჩაზედ თავნი ვალი 16487 მანათი 82 კ. დარჩენილი 966 მანათი—სულ ერთიანად 17,453 მანათი 82 კ.

ჭრელაშვილი, გრიგოლ დავითის-ძე: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი ბაღით და 4 დესეტინა მიწით, ქ. თბილისში, მე-2 განყოფ. მე-16 ნაწილ. ნავთლუღში თავნი ვალი 1648 მ. 80 კ. დარჩენილი 133 მან. 63 კ. სულ 1782 მან. 43 კ.

ერისთავი, ალექსანდრე პავლეს-ძე: წისქვილი და სადგური 5,610 ოთხ-კუთხი საჟენი; თბილისის გუბერნიაში. ქ. გორში. თავნი ვალი 5770 მან. 15 კაპ. დარჩენილი 349 მანათი 90 კაპ.—სულ ერთიანად 6114 მანათ. 61 კ.

გაბუნია, მერაბ იაგორის-ძე: ორი ქვითკირის სახლი: ორ-სართულიანი და ერთ-სართულიანი შენობებით და 125 ოთხ-კუთხი საჟ. მიწით, ქ. გორში. თავნი ვალი 3593 მან. 15 კ., დარჩენილი 210 მ. 34 კ.—სულ ერთიანად 3,803 მან. 49 კ.

ჭავჭავაძე, გიორგი მელქისედეკის-ძე: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 2100 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თელავში თავნი ვალი 3,958 მ. 8 კ. დარჩენილი 298 მ. 70 კ. სულ—4,256 მ. 78 კ.

ტეხმინცევი, იაკობ მიკირტუმას-ძე: ორ-სართულიანი სახლი ერთ-სართულიანი შენობით და 370 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. ახალციხეში თავნი ვალი 3347 მან. 25 კ. დარჩენილია 105 მან. 7 კ. სულ 3452 მან. 32 კაპ.

პაპავასოვისა, ელისაბედ გრიგოლის-ასული: ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი 72 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, ქ. თბილისში, 1 განყოფილებაში, მე-5 ნაწილში, ნემცების ქუჩაზე. თავნი ვალი 5020 მან. 73 კ. დარჩენილი 386 მან. 78 კაპ. სულ ირთიანად 5407 მან. 51 კაპ.

მირიანოვისა, მარიამ იაკობის ასული: ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი და აბანო 168 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით ქ. გორში. თავნი ვალი 4184 მან. 5 კაპ. დარჩენილი 248 მან. 50 კაპ. სულ ერთიანად 4432 მან. 55 კაპ.

პოლტარაცკი, ივანე ეგნატეს-ძე. ორი ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ორი ფლიგელით, შენობებით და 321$^2/_3$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; 1 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ოლგას ქუჩაზე. თავნი ვალი 22069მან. 40 კაპ. დარჩენილია 2251 მან. 23 კაპ. სულ ერთიანად 24,320 მან. 63 კაპ.

ამატუნი, ნაპოლეონ ივანეს-ძე. 1) ორ-სართულიანი ქვითკირის სახლი ერთ სართულიანი სარდაფებით ფლიგელით და ორ-სართულიანი საmosამსახუროთი, 2) ორ-სათულიანი ქვითკირის სახლი 704 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით მე-4 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, ველიამინოვის ქუჩაზე თავნი ვალი 56229 მანათი 98 კაპ. დარჩენილი 5212 მანათი 42 კაპ. სულ ერთიანად 61442 მან. 40 კაპეიკი.

ტერ-შმოვანოვი, ნიკოლოზ ივანეს-ძე ორ-სართულიანი ქვითკირ… სახლი ფლიგელით, ყოველივე მოწყობილობით და 87 ოთხ-კუთხი საჟენი მიწით; მე-6 ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში, მოგნინის და ბებუთოვის ქუჩებზე თავნი 7945 მან. 80 კაპ. დარჩენილი 439 მან. 30 კ. სულ ერთიანად 8385 მან. 10 კაპ.

ბაგრატიონ-მუხრანსკი ივანე კონსტანტინეს-ძე სამ-სართულიანი ქვითკირის სახლი ფლიგელით, შენობით და 313$^3/_4$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით 1 მიხაილოვის ნაწილში, 1 განყოფილებაში, ქ. თბილისში თავნი ვალ… 23837 მან. 39 კაპ. დარჩენილი 1299 მან. 90 კაპ. სულ ერთიანა… 25137 მან. 29 კაპ.

კასკასოვი, ათანასე ლიპარიტის-ძე: სამ-სართულიანი ქვითკირის ს… ეზოთი, 103 საჟენი და 3 ოთხ-კუთხი არშინი მიწით; ქ. თბილ… თავნი ვალი 2711 მან. 83 კ. დარჩენილი 302 მან. 60 კ. სულ … მან. 43 კ.

ციციშვილი, დავით ივანეს-ძე: 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა. მე-11 ნაწილში, 2 განყოფილებაში, ქ. თბილისში. თავნი ვალი 1,096 მანათი 88 კაპეიკი, დარჩენილი 67 მანათი 24 კაპეიკი—სულ ერთიანად 1,164 მანათი 12 კაპეიკი.

ზარათოვი, გიორგი ვახტანგის-ძე: სახნავ სათესი და საძოვარი ადგილები 177 დეს. 1560 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში, ზემო-ოძისში თავნი ვალი 4220 მან. 64 კ. დარჩენილი 58 მ. სულ 4348 მან. 64 კ.

ხიმშიაშვილები, ნიკოლოზ გიორგის-ძე: ნინა და მარიამ გიორგის ასულნი და ეკატერინე ბეჟანის ასული. სახნავი და საბალახო ადგილები 653 დესიატინა 1,820 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში ანტკის-ხევში, თავნი ვალი 4,291 მანათი 1 კაპეიკი, დარჩენილი 200 მანათი 80 კაპეიკი—სულ ერთიანად 4,491 მანათი 81 კაპ.

ნაზარბეგოვი, სოლომონ გრიგოლის-ძე: სახნავი, სათიბი და საბალახო ადგილი 548 დესიატინა 1,837 ოთხ-კუთხი საჟენი თბილისის გუბერნიაში, ამავე მაზრაში სოფელს ძიჩიკში. თავნი ვალი 7,628 მანათი 0,2 კაპეიკი, დარჩენილი 460 მანათი 62 კაპეიკი—სულ ერთიანად 8088 მ. 64 კაპ.

ერისთავი გიორგი გიორგის-ძე. სახნავი, საძოვარი, აგარაკი და ტყე 284 დესეტინა 1263 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში, თელავის მაზრაში, სოფელს ქისტაურში. თავნი ვალი 7,627 მანათი 79 კაპეიკი, დარჩენილი 425 მანათი 64 კაპეიკი—სულ ერთიანად 8,153 მანათი 43 კაპეიკი.

ქანანოვი, გიორგი ზურაბის-ძე: სახნავ-სათესი, სახლკარის ადგილები შენობებით, რომელთაც 151 დეს. 300 ოთხ-კუთხი საჟენი მიწა უჭირავთ თბილ. გუბერნიაში გორის მაზრის სოფ. ბრეთში თავნი ვალი 8,615 მ. 55 კ. დარჩენილი 931 მ. 60 კ. სულ ერთიანად 9007 მ. 15 კ.

ციციშვილი, კირილე ედიშერის-ძე: სახნავი, სათიბი და ტყე 847 დესეტ. 600 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში, სოფ. ახლალალოში თავნი ვალი 15,375 მ. 29 კ. დარჩენილი 1671 მ. 26 კ. სულ 17,046 მ. 55 კ.

სტაროსელსკისა, ეკატერინე თადეოსის-ასული: სახნავ სათესი, საძოვარი და სათიბი ადგილები 286 დეს. 690$^1/_2$ ოთხ-კუთხი საჟენი მიწით, თბილისის გუბერნიაში დუშეთის მაზრაში სოფ. საგურამოში თავნი ვალი 1,4467 მ. 80 კ. დარჩენილი 1320 მ. სულ. 15, 787 მან. 80 კ.

ამილახვრები, ზაქარია ალექსანდრეს-ძე: და ქეთევან ქრისტეფორეს ასული და თარხნიშვილისა მარიამ ალექსანდრეს-ასული: სახნავი და სამოსახლო ადგილი 33 დესეტინა 320 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში, გორის მაზრაში, სოფ. გრაკალში თავნი ვალი 1446 მ. 78 კ. დარჩენილი 73 მ. 60 კ. სულ ერთიანად 1520 მ. 38 კ.

მელიქოვი, ივანე ალექსანდრეს-ძე: სახნავი ადგილი და ტყე ზომით 2365 დესიატ. 364 ოთხ-კუთხი საჟ. თბილისის გუბერნიაში და მაზრაში ბალითალა, მუზხანკა და სხვანი თავნი ვალი 13,503 მ. 28 კ. დარჩენილი 936 მან. სულ ერთად 14,439 მ. 28 კ.

სოლაღოვი, იასე ქაიხოსროს-ძე: სახნავი, საძოვარი, სათიბი და ტყე 212 დესიატინა 150 ოთხ-კუთხი საჟენი თბილისის გუბერნიაში და მაზრაში, მონასტერში თავნი ვალი 1929 მ. 5 კ. დარჩენილი 132 მან. 46 კ. სულ 2061 მან. 51 კ.

ჯამბაკურიან-ორბელიანი, ალექსანდრე ივანეს-ძე: სახნავი მიწები და საძოვარი ადგილები 2189 დესეტინა 1987 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისი… გუბერნიაში და მაზრაში, წინაურში ყაზიალარში და ბაშკიჩეტში თავნი … ლი 33,758მან. 21 კ. დარჩენილი 1966 მ. 90 კ. სულ ერთიანა… 35,725 მ. 11 კ.

გაჩნაძე, იოსებ რევაზის-ძე: სახნავი და ტყე 663 დესიატინა, თბი… სის გუბერნიაში სიღნაღის მაზრაში, ბარემყარში თავნი ვალი 2893 … 56 კ. დარჩენილი 168 მან. 78 კ. სულ 3062 მან. 34 კ.

გასვასოვისა, ეკატერინე გიორგის-ასული: სახნავი და ტყე 308 … ტინა 555 ოთხ-კუთხი საჟენი. თბილისის გუბერნიაში, თელავის მ… სოფ. ძონდოლში თავნი ვალი 2893 მან. 56 კ. დარჩენილი 1… 20 კ. სულ 3030 მან. 76 კ.

(იხილე მეხუთე გვერ…